ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №141407

ნომერი: AR134656

თარიღი : 30.03.2012

გაცემის თარიღი : 01.05.2012

გაცნობის თარიღი : 26.06.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უშანგი ჩხეიძის , N 17 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ხათაშვილი პ/ნ 01030029620
- უ.ჩხეიძე 6, თბილისი

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "საიალი"
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: პაატა ხათაშვილი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406057804
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030029620

განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებულმა სამეცნიერო–მეთოდურმა საბჭომ (ოქმი N15, 10.04.12წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენს მიერ განაცხადი დარეგისტრირებული იქნა მე–3 კლასის ობიექტის მშენებლობის ნებართვის ნომენკლატურაში.

ამასთან, ვინაიდან თქვენს მიერ არ იქნა წამოდგენილი მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია დემონტაჟის ნებართვის გაცემის საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას.

ამასთანავე, თქვენს მიერ არ იქნა მითითებული სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, რასთანაც დაკავშირებით სამსახური მოკლებულია ობიექტის კლასის სწორად განსაზღვრის შესაძლებლობას (გაურკვეველია, შეესაბამება თუ არა წარმოდგენილ ფოტომასალაზე დაფიქსირებული ობიექტი თავისი მახასიათებლებით მე–3 კლასის შენობა–ნაგებობას).

გაცნობებთ, რომ სამსახური დაუბრუნდება დემონტაჟის მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვას თქვენს მიერ ახალი განაცხადის რეგისტრაციის და შესაბამისი აუცილებელი დოკუმენტაციის ატვირთვის შემდგომ. ობიექტის კლასის სწორად განსაზღვრასთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ, რომ განაცხადის რეგისტრაციისას აუცილებელია ზუსტად იქნეს მითითებული სადემონტაჟო ობიექტის კლასის განმსაზღვრელი პარამეტრები.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.